

შპს ბლექ სი არენა ჯორჯია

მოწვევა ინტერესთა გამობატვის თაობაზე ბლექ სი არენაზე
განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით



1. შესავალი

წინამდებარე მოწვევას ინტერესთა გამოხატვის თაობაზე ბლექ სი არენაზე განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით (შემდგომში „მოწვევა“) აცხადებს შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“ (სარეგისტრაციო ნომერი: 405158804, შემდგომში „კომპანია“). კომპანიის ძირითადი მიმართულებაა კულტურის, ხელოვნებისა და გართობის ინდუსტრიის სფეროებში საქმიანობა. ტურიზმის განვითარების, კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის და რეგიონის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, კომპანია მიზნად ისახავს 2017 წლის ზაფხული-შემოდგომის სეზონების განმავლობაში „ბლექ სი არენაზე“ (შემდგომში „არენა“ ან „საკონცერტო დარბაზი“) არაერთი კულტურული ღონისძიების ორგანიზების ხელშეწყობას თანადაფინანსების გზით მათ შორის პროექტ CHECK IN GEORGIA-ს ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის საკუთრებაშია თანამედროვე ტიპის საუკეთესო აპარატურით აღჭურვილი საკონცერტო დარბაზი, რომელიც ცნობილია „ბლექ სი არენა“-ს სახელით. ბლექ სი არენა ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზია საქართველოში, რომელიც გაიხსნა 2016 წლის ივლისში. იგი მდებარეობს სოფელ შეკვეთილთან ახლოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

საკონცერტო დარბაზი იტევს 10 000-მდე მაყურებელს. იგი აღჭურვილია სპეციალური აპარატურითა და განათების სისტემებით, რომელიც გრანდიოზული შოუების ჩატარების საშუალებას იძლევა. 2016 წლის საკურორტო სეზონის განმავლობაში საკონცერტო დარბაზის სცენაზე მსმენელის წინაშე წარსდგნენ მსოფლიო დონის ვარსკვლავები: კრისტინა აგილერა, ვანესა მეი, ჯგუფი Scorpions, ერისიონი და სხვა. არენამ ჯამში 45,000-ზე მეტ ვიზიტორს უმასპინძლა. არენის ძირითად ნაწილს საკონცერტო სივრცე წარმოადგენს, რომელიც ორ დამოუკიდებელ შენობას აერთიანებს. აღსანიშნავია, რომ საკონცერტო დარბაზი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

კომპანიის მიზანია, შეარჩიოს პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბლექ სი არენაზე სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზებას. შესაბამისად, კომპანია იწვევს დაინტერესებულ პირებს, მონაწილეობა მიიღონ ინტერესთა გამოხატვის პროცესში ქვემოთ მოცემული პირობების გათვალისწინებით.

2. პროექტის აღწერა

2.1. პროექტის ძირითადი მოთხოვნები:

- 2.1.1. 2017 წლის ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით ერთი ან რამდენიმე მუსიკალური, ქორეოგრაფიული და სხვა სახის კულტურული ღონისძიების ორგანიზება შოუბიზნესის ბაზარზე მოთხოვნადი უცხოელი შემსრულებლების (არტისტების) ან ქართველი და უცხოელი შემსრულებლების (არტისტების) ერთობლივი მონაწილეობით;

- 2.1.2. შემსრულებლებთან ან მათ წარმომადგენლებთან (აგენტებთან) მოლაპარაკებების წარმოება და მათთან ხელშეკრულებების გაფორმება ღონისძიებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით;
- 2.1.3. შემსრულებლების საქართველოში ვიზიტის სრულად ორგანიზება, რაც შეზღუდვის გარეშე გულისხმობს მათ ტრანსპორტირებას, ტრანსფერებს, შიდა გადაადგილებას, სასტუმროში განთავსებას, ა. შ.
- 2.1.4. ღონისძიების პოპულარიზაციის მიზნით რეკლამების განთავსება სატელევიზო, რადიო, ინტერნეტ და სხვა სივრცეებში, ბანერების განთავსება, ფლაერებისა და ბუკლეტების გავრცელება, ა. შ.
- 2.1.5. ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთების დამზადება და რეალიზაცია (მათ შორის ელექტრონული სახით). ბილეთების გაყიდვების მაქსიმიზაციის მიზნით სხვადასხვა სახის მარკეტინგული კამპანიის ორგანიზება.

2.2. ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება;

2.3. ღონისძიების განხორციელება/ორგანიზება წინამდებარე მოწვევით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და შემდგომში კომპანიასთან გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. კომპანიის მონაწილეობა

კომპანია პროექტის განხორციელებას უზრუნველყოფს საკონცერტო დარბაზით და შემსრულებლ(ებ)ის ჰონორარის თანადაფინანსებით. კომპანია უფლებამოსილია დააფინანსოს ღონისძიებაში მონაწილე შემსრულებლის/შემსრულებლების ჰონორარი არაუმეტეს 70%-ის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 500,000 (ხუთასი ათასი) ლარისა (შემდგომში „საავანსო თანხა“). აღნიშნული თანხა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპანია პრომოუტერის მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ღონისძიების ტექნიკურ მხარდაჭერას (ლედ ეკრანები, გახმოვანება, განათება, დაცვა, დასუფთავება, ა. შ.). ტექნიკური მხარდაჭერის საფასურის და დარბაზის საიჯარო ქირის ოდენობას განსაზღვრავს კომპანია კანდიდატის მიერ წარდგენილი წინადადების შესაბამისად.

თითოეული კანდიდატი ვალდებულია, წინადადებაში მიუთითოს კომპანიის თანადაფინანსების ერთ-ერთი შემდეგი ფორმა:

I ვარიანტი

კომპანია დააფინანსებს ღონისძიებაში მონაწილე შემსრულებლის/შემსრულებლების ჰონორარს არაუმეტეს 70%-ის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 500,000 (ხუთასი ათასი)

ლარისა. კანდიდატს არ დაეკისრება საკონცერტო დარბაზის იჯარის და ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯების გადახდის ვალდებულება კომპანიის სასარგებლოდ. სანაცვლოდ, კანდიდატი ვალდებულია, გადაუხადოს კომპანიას რეალიზებული ბილეთებიდან მიღებული საერთო შემოსავლის და დამატებული ღირებულების გადასახადის და საავტორო უფლებებით დაცული ობიექტით სარგებლობის საფასურის სხვაობის 10%.

II ვარიანტი

კომპანია დააფინანსებს ღონისძიებაში მონაწილე შემსრულებლის/შემსრულებლების ჰონორარს არაუმეტეს 70%-ის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 500,000 (ხუთასი ათასი) ლარისა. კანდიდატი ვალდებულია გადაუხადოს კომპანიას საკონცერტო დარბაზის იჯარის და ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯები, ასევე რეალიზებული ბილეთებიდან მიღებული საერთო შემოსავლის და დამატებული ღირებულების გადასახადის და საავტორო უფლებებით დაცული ობიექტით სარგებლობის საფასურის სხვაობის 5%.

4. ინტერესთა გამოხატვის წესი, პირობები და პროცედურები:

4.1. კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ ქვემოთ მოცემულ წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნებს („წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნები“) და წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია:

4.1.1. საფირმო სახელწოდება, იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო პირები და საკონტაქტო მონაცემები;

4.1.2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წესდება, სადამფუძნებლო დოკუმენტაცია (საწარმოს დაფუძნების ან/და სახელწოდების ცვლილების შესახებ არსებული დოკუმენტი) და ცნობა მოვალეთა რეესტრიდან;

4.1.3. კანდიდატის რეზიუმე (გამოცდილების აღწერა), რომელიც ადასტურებს, რომ კანდიდატი ბოლო ორი წლის განმავლობაში საქმიანობს საქართველოში მსგავსი კულტურული ღონისძიებების ორგანიზების კუთხით და ამ დროის განმავლობაში გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი შემსრულებლ(ებ)ის მონაწილეობით ჩატარებული მსგავსი ღონისძიებების განხორციელების გამოცდილება და აკმაყოფილებს ამ მოწვევით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატების გამოცდილების აღწერა ეფუძნება მისი დამფუძნებლის ან დირექტორის გამოცდილებას, კანდიდატმა უნდა უზრუნველყოს თითოეული ასეთი დამფუძნებლის და დირექტორის მოწვევაში მონაწილეობაზე თანხმობის დადასტურება წერილობითი ფორმით. რეზიუმეს უნდა ახლდეს სათანადო დოკუმენტაცია და ცნობები;

4.1.4. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ერთი ან მეტი სარეკომენდაციო წერილი იმ უცხოელი შემსრულებლისგან ან უცხოელი შემსრულებლის აგენტისგან, რომელიც

მონაწილეობდა კანდიდატის მიერ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ორგანიზებულ კულტურულ ღონისძიებაში;

- 4.1.5. იმ პარტნიორების (აქციონერების) სათანადოდ დამოწმებული სია, რომლებიც კანდიდატის წილების (აქციების) 5 (ხუთ) პროცენტზე მეტს ფლობენ, ასევე ინფორმაცია იმ ბენეფიციარი მესაკუთრის თაობაზე, რომელიც ფლობს კანდიდატის წილების (აქციების) 25%-ს ან მეტს;
- 4.1.6. დეტალური ინფორმაცია ღონისძიების თაობაზე მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროექტის ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად:
- ღონისძიების დეტალური აღწერა;
 - მოთხოვნა კომპანიის თანადაფინანსების ოდენობის შესახებ (მე-3 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი ვარიანტი);
 - ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო თანხის ოდენობა, დეტალური ბიუჯეტი და ხარჯთაღრიცხვა;
- 4.1.7. დეტალური ინფორმაცია წინადადებით გათვალისწინებული ღონისძიების სრულად დაფინანსების წყაროების შესახებ. არსებობის შემთხვევაში, კანდიდატი წარმოადგენს ინფორმაციას დაფინანსების გამცემ პირებზე/სპონსორებზე და მათთან გაფორმებულ წინარე ხელშეკრულებებს, პირობით გარიგებებს (სასპონსორო პაკეტებს, სტატუსებს) და ა. შ. გამარჯვებული კანდიდატის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, გენერალური სპონსორის სტატუსით ისარგებლებს/ისარგებლებენ პროექტ CHECK IN GEORGIA-ს გენერალური სპონსორი/ები. კომპანია აცნობებს გამარჯვებულ კანდიდატებს CHECK IN GEORGIA-ს გენერალური სპონსორი/ების შესახებ, რომლებსაც მიენიჭებათ უპირატესობა სხვა სპონსორებთან შედარებით. გამარჯვებულ კანდიდატსა და მის სპონსორს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობები წინასწარ წერილობით უნდა შეთანხმდეს კომპანიასთან.
- 4.1.8. საგადასახადო დავალიანების არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 4.1.9. ღონისძიებაში მონაწილე შემსრულებლის ან მისი წარმომადგენლისგან, ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე სურვილის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (წერილობითი შეთანხმება, შემსრულებელთან ან მის აგენტთან არსებული კორესპონდენცია ან სხვა დოკუმენტი), რომელშიც დეტალურად იქნება მითითებული ჰონორარის ოდენობა და მისი გადახდის წესი. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტში მითითებული ჰონორარის ოდენობა არ ექვემდებარება გაზრდას;
- 4.1.10. გამარჯვებული კანდიდატი ვალდებულია, შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების გაცნობიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინოს საავანსო თანხის 50%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება წინადადებით გათვალისწინებული ღონისძიების ჩატარების თარიღიდან სულ მცირე 2 თვის განმავლობაში. საბანკო გარანტია უზრუნველყოფს წინამდებარე

დოკუმენტით გათვალისწინებული და გამარჯვებულ კანდიდატთან გასაფორმებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. კომპანიის მიერ საავანსო თანხის ნებისმიერი ოდენობის გაცემა დამოკიდებულია გამარჯვებული კანდიდატის მიერ წინამდებარე მოწვევით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის წარმოდგენაზე. ხელშეკრულებაში ასევე გათვალისწინებული იქნება ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა.

4.1.11. კანდიდატი ვალდებულია წარუდგინოს კომპანიას წინადადება თანდართული განაცხადის ფორმის მიხედვით (დანართი N1.1);

4.2. წინადადება და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე მომზადებულ წინადადებას ან წინადადებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას უნდა დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული ქართული თარგმანი. ქართულ და უცხოურ ენაზე მომზადებულ წინადადებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვერსიას;

4.3. კანდიდატები შესაძლებელია კომპანიის მიერ მოწვეული იქნენ პრეზენტაციის გასაკეთებლად;

4.4. კომპანია/კომისია განიხილავს მხოლოდ იმ წინადადებებს, რომლებიც აკმაყოფილებს მე-4 მუხლით გათვალისწინებულ წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

4.5. თითოეული კანდიდატი უფლებამოსილია, წარმოადგინოს არაუმეტეს 2 წინადადება;

4.6. წინადადების წარდგენა:

ყველა წინადადება წარდგენილი უნდა იქნეს 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი და 2 ასლი) დალუქულ კონვერტში, ასევე, ელექტრონულ ვერსიად (PDF) არაუგვიანეს თბილისის დროით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის გამოცხადებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში (შემდგომში „წარდგენის ვადა“) კომპანიაში, შემდეგ მისამართზე:

შპს ბლექ სი არენა ჯორჯია - საქართველო, ოზურგეთის რაიონი, სოფ. ნატანები (შეკვეთილი). მისამართის ცვლილების შემთხვევაში ახალი მისამართი გამოქვეყნდება კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.bsa.com.ge და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე: <http://procurement.gov.ge/>.

კომპანიის საკონტაქტო პირი: დიმიტრი ბერიძე; ელ-ფოსტა: info@bsa.com.ge; ditoberidze@gmail.com

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავება წინადადების წერილობით და ელექტრონულ ვერსიებს შორის, ნაბეჭდ ვერსიას ენიჭება უპირატესობა.

4.7. შეფასება. პროცესი და კრიტერიუმები

- 4.7.1. წინადადებების შეფასების პროცესი წარიმართება კომპანიის მიერ შექმნილი შესარჩევი კომისიის მიერ წინადადებების წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ;
- 4.7.2. შეფასების პროცესში კანდიდატთა შერჩევა მოხდება წინადადების მოსალოდნელი შედეგების მიხედვით შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:
- კანდიდატის გამოცდილება. ამ კრიტერიუმის მიზნებისთვის მხედველობაში მიიღება კანდიდატის მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში საქმიანობა მსგავსი კულტურული ღონისძიებების ორგანიზების კუთხით და ამ დროის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი შემსრულებლის მონაწილეობით კულტურული ღონისძიების ორგანიზების გამოცდილება, უცხოურ საპროდიუსერო კომპანიასთან მუშაობის გამოცდილება, უცხოელი შემსრულებლის ან მისი აგენტის დადებითი დახასიათება (სარეკომენდაციო წერილი), რომელიც ეფუძნება ამ შემსრულებლის მონაწილეობით მსგავსი სახის ღონისძიების ორგანიზების გამოცდილებას, ა. შ.;
 - ღონისძიებაში მონაწილე შემსრულებლ(ებ)ის მიმართ მოთხოვნა შოუბიზნესის ბაზარზე. ამ კრიტერიუმის მიზნებისთვის მხედველობაში მიიღება შემსრულებლის მიერ ბოლო 2 წლის განმავლობაში მსოფლიო/ევროპის ტურნეს გამართვის გამოცდილება, შემსრულებლის მიმდევრების/თაყვანისმცემლების (followers), მოწონებების, ნახვების რაოდენობა სხვადასხვა სოციალურ პლატფორმაში, ა. შ.;
- 4.7.3. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, შემსრულებლის ჰონორარი არ შეიძლება მოიცავდეს მუსიკალური ინსტრუმენტებითა და აპარატურით უზრუნველყოფის, მგზავრობის, ტრანსპორტირების, ტრანსფერის, სასტუმროს, კვების და ნებისმიერ სხვა ხარჯს.
- 4.7.4. შერჩევის პროცესი დასრულდება წინადადებების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. ამ დროის განმავლობაში შესარჩევი კომისია გამოავლენს გამარჯვებულ კანდიდატებს.

5. კანდიდატებთან ხელშეკრულების დადების წინაპირობები

- 5.1. კომპანია იტოვებს უფლებას, შეადგინოს მოკლე სია (shortlist) კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე დაყრდნობით;
- 5.2. შერჩევის პროცესის დასრულებისთანავე, კომპანია გაუგზავნის წერილობით შეტყობინებას გამარჯვებულ კანდიდატს/კანდიდატებს და მოიწვევს მას/მათ ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმოებისათვის. ხელშეკრულების ფორმატი ღიაა მოლაპარაკებებისათვის, მხოლოდ იმ ფარგლებში, რომ ამგვარი მოლაპარაკების შედეგები გავლენას არ მოახდენს ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის ძირითად, მათ შორის ფინანსურ და საგარანტიო პირობებზე და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. მოლაპარაკებების

ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს შეტყობინების გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს;

- 5.3. მას შემდეგ რაც გამარჯვებულ კანდიდატებს ეცნობებათ შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების შესახებ, ისინი ვალდებული არიან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარუდგინონ კომპანიას, შემსრულებელთან გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება შემსრულებლის მონაწილეობა ღონისძიებაში. ხელშეკრულებაში დეტალურად უნდა იყოს მითითებული ჰონორარის ჯამური ოდენობა და გადახდის წესი, ღონისძიების ადგილი და თარიღი, რაიდერის პირობები და ა. შ.;
- 5.4. კომპანია უფლებამოსილია, მოსთხოვოს კანდიდატს წინადადებაში მითითებული ნებისმიერი ინფორმაციის დაზუსტება, განმარტება ან დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.

6. სხვადასხვა

- 6.1. წინამდებარე მოწვევა, მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და პროცედურა, რომელიც მოიცავს საპროექტო წინადადების წარდგენას, წინასაკვალიფიკაციო და შეფასების პროცესს რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ნებისმიერი დავა, შეუთანხმებლობა და პრეტენზია, რომელიც წარმოიშობა ამ მოწვევის საფუძველზე ან მასთან კავშირშია, წარედგინება საქართველოს საერთო სასამართლოს. ინტერესთა გამოხატვის პროცედურებში მონაწილეობაზე თანხმობის განცხადებით, კანდიდატები გამოუხმობლად და უპირობოდ აცხადებენ უარს დავების გადაწყვეტის სხვა ფორმაზე, სხვა სახელმწიფოს სასამართლოს ან ნებისმიერი სხვა ხელისუფლების წინაშე აპელირებაზე, გადასინჯვაზე, რამდენადაც ამგვარი განცხადება უფლებაზე უარის თქმაზე შესაძლებელია იყოს ნამდვილი. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაყოვნების გარეშე შეასრულონ საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;
- 6.2. შერჩეულ კანდიდატს არ აქვს უფლება ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი უფლება გადასცეს ნებისმიერ პირს ან რაიმე ფორმით უფლებრივად დატვირთოს ამგვარი უფლებები კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
- 6.3. წინამდებარე მოწვევაში არაფერი უნდა იქნეს გაგებული ისე, როგორც შერჩეული კანდიდატისათვის პროექტის განხორციელების ექსკლუზიური უფლების გადაცემა ამ მოწვევით განსაზღვრულ პროცედურებში მონაწილეობიდან ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე;
- 6.4. ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევა არ წარმოშობს კომპანიის ვალდებულებას, აირჩიოს რომელიმე კანდიდატი ან აუნაზღაუროს რომელიმე კანდიდატს ხარჯები. გარდა ამისა, საპროექტო წინადადების ან ნებისმიერი

დოკუმენტაციის წარდგენა არ ანიჭებს კანდიდატს კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის ან პრეტენზიის წარდგენის უფლებას. მონაწილეთა მიერ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე ამ მოწვევის საპასუხოდ გაწეული და შემდგომში ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი უნდა გაიღოს კანდიდატებმა;

- 6.5. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, კომპანიას არ შეიძლება, დაეკისროს რაიმე სახის პასუხისმგებლობა ან ვალდებულება ღონისძიების ორგანიზებიდან გამომდინარე საავტორო უფლებებთან დაკავშირებით. გამარჯვებული კანდიდატი, რომელიც უზრუნველყოფს ღონისძიების ორგანიზებას, ვალდებულია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები და საჭიროების შემთხვევაში გადაიხადოს ყველა სახის საფასური, რაც დაკავშირებულია საავტორო უფლებებთან.

7. ზეგავლენის მცდელობა

კანდიდატის, მისი წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული პირის ნებისმიერი მცდელობა, რაიმე გზით გავლენა მოახდინოს ინტერესთა გამოხატვის პროცესზე ან მოიპოვოს არასამართლიანი უპირატესობა გამოიწვევს კანდიდატის დისკვალიფიკაციას.

8. კომპანიის უფლებები

კომპანია იტოვებს უფლებას:

- კომპანიის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების საფუძველზე, უარი თქვას ან შეცვალოს ინტერესთა გამოხატვის თაობაზე ამ მოწვევის ნებისმიერი მოთხოვნა და პირობა კანდიდატებისთვის წინასწარი გაფრთხილების ან შეტყობინების გაგზავნის გარეშე;
- კომპანიის მიერ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე ამ მოწვევის ნებისმიერი მოთხოვნის ან პირობის ცვლილების შემთხვევაში, კანდიდატებს მიეცემათ დამატებით არანაკლებ 7 (შვიდი) კალენდარული დღე შეცვლილი მოთხოვნების ან პირობების დაკმაყოფილების მიზნით;
- გაიხმოს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევა ნებისმიერ დროს, ან ხელახლა მოიწვიოს კანდიდატები იმავე ან სხვა საფუძველით, კომპანიის ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით;
- მოითხოვოს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, განმარტება ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა;
- დისკვალიფიკაცია მიანიჭოს ნებისმიერ კანდიდატს, შეწყვიტოს წინამდებარე მოწვევა და მოწვევით გათვალისწინებულ პროექტზე მუშაობა ნებისმიერ დროს (მათ შორის, კანდიდატების მიერ ინტერესთა გამოხატვის შესახებ დოკუმენტაციის წარმოდგენის

შემდგომ) და ნებისმიერი საფუძვლით. ამ შემთხვევაში, კანდიდატები აღიარებენ, რომ კომპანიას არ შეიძლება დაეკისროს რაიმე სახის პასუხისმგებლობა ან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

- არ გააფორმოს რაიმე შეთანხმება და ხელშეკრულება კანდიდატებთან, ამ მოწვევაში მითითებული ნებისმიერი პროცესის (პროცედურის) დასრულების შედეგად.

9. სახელშეკრულებო ინფორმაცია

კანდიდატებმა მოთხოვნა განმარტებებზე უნდა წარმოადგინონ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში ქვემოთ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. კომპანია თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს და ყველა კანდიდატისათვის ხელმისაწვდომს გახდის განმარტებებთან დაკავშირებით მოცემულ ვადაში მიღებულ კითხვებზე პასუხებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

კომპანიის დირექტორი: დიმიტრი ბერიძე

მისამართი: საქართველო, ოზურგეთის რაიონი, სოფ. ნატანები (შეკვეთილი).

ვებ-გვერდი: www.bsa.com.ge

ტელ: +995 599 700 222

ელ ფოსტა: info@bsa.com.ge, ditoberidze@gmail.com

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

განაცხადის ფორმა

1. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

- წინადადების წარმომდგენი კანდიდატის სამართლებრივი ფორმა

--

- კანდიდატის სახელწოდება

--

საიდენტიფიკაციო კოდი

--	--	--	--	--	--	--	--	--	--

- კანდიდატის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი (ქალაქი, ქუჩა, №)

--

- კანდიდატის საკონტაქტო ინფორმაცია

ტელეფონი/ფაქსი

ელფოსტა

ვებგვერდი

--	--	--

- კანდიდატის საკონტაქტო პირი

სახელი/გვარი	
--------------	--

თანამდებობა	
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	

- **ინფორმაცია კანდიდატის შესახებ** (რეზიუმე, რომელიც ადასტურებს, რომ კანდიდატი ბოლო ორი წლის განმავლობაში საქმიანობს საქართველოში მსგავსი კულტურული ღონისძიებების ორგანიზების კუთხით და ამ დროის განმავლობაში გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი შემსრულებლ(ებ)ის მონაწილეობით ჩატარებული მსგავსი ღონისძიებების განხორციელების გამოცდილება).

--

2. ღონისძიების აღწერილობა (აღწერეთ დეტალურად კონკრეტული ღონისძიება, შემსრულებლები, განხორციელების ვადები, ა. შ.)

	დაგეგმილი აქტივობა	განხორციელების პერიოდი	დაგეგმილი აქტივობის აღწერა
1.			
2.			

- პროექტის განხორციელების რისკფაქტორები (ღონისძიებაში მონაწილე შემსრულებლ(ებ)ის მიმართ მოთხოვნა შოუბიზნესის ბაზარზე, ა. შ.)

--

- ფინანსური გაანგარიშება/ხარჯთაღრიცხვა

(მოთხოვნა თანადაფინანსების ოდენობისა და ერთ - ერთი ფორმის/ვარიანტის შესახებ; დეტალური აღწერა წინადადებით გათვალისწინებული ღონისძიების სრულად დაფინანსების წყაროების შესახებ და ა. შ.)

	დასახელება/დაფინანსების ფორმა, ვარიანტი	სულ	დაფინანსების წყარო		
			შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“	დაფინანსების გამცემი პირი/სპონსორი	თვითდაფინანსება
1.					
2.					

** გთხოვთ, ბიუჯეტში თანხები მიუთითოთ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;*

3. სპონსორებთან შეთანხმებული პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

--

4. დამატებითი ინფორმაცია

--

5. დანართის სახით წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- საბანკო რეკვიზიტები;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმო იურიდიული პირების რეესტრიდან;
- წესდება, სადამფუძნებლო დოკუმენტაცია (საწარმოს დაფუძნების ან/და სახელწოდების ცვლილების შესახებ არსებული დოკუმენტი);
- ცნობა მოვალეთა რეესტრიდან;
- საგადასახადო დავალიანების არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ღონისძიებაში მონაწილე შემსრულებლის ან მისი წარმომადგენლისგან, ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე სურვილის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (წერილობითი შეთანხმება, შემსრულებელთან ან მის აგენტთან არსებული კორესპონდენცია ან სხვა დოკუმენტი), რომელშიც დეტალურად იქნება მითითებული ჰონორარის ოდენობა და მისი გადახდის წესი;
- არსებობის შემთხვევაში, დეტალური ინფორმაცია საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული ღონისძიების სრულად დაფინანსების წყაროების შესახებ. არსებობის შემთხვევაში, კანდიდატი წარმოადგენს ინფორმაციას დაფინანსების გამცემ პირებზე/სპონსორებზე და მათთან გაფორმებულ წინასწარ ხელშეკრულებებს, პირობით გარიგებებს (სასპონსორო პაკეტები, სტატუსები) ა. შ.;
- იმ პარტნიორების (აქციონერების) სათანადოდ დამოწმებული სია, რომლებიც კანდიდატის წილების (აქციების) 5 (ხუთ) პროცენტზე მეტს ფლობენ, ასევე ინფორმაცია იმ ბენეფიციარი მესაკუთრის თაობაზე, რომელიც ფლობს წილების (აქციების) 25%-ს ან მეტს;
- გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ხარჯთაღრიცხვა და საჭიროების შემთხვევაში ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
- სარეკომენდაციო წერილი.

4. შენიშვნა

- გამარჯვებული კანდიდატი ვალდებულია, შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების გაცნობიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინოს საავანსო თანხის 50%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება წინადადებით გათვალისწინებული ღონისძიების ჩატარების თარიღიდან სულ მცირე 2 (ორი) თვის განმავლობაში. საბანკო გარანტია უზრუნველყოფს წინამდებარე მოწვევით გათვალისწინებული და გამარჯვებულ კანდიდატთან გასაფორმებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ხელშეკრულებაში ასევე გათვალისწინებული იქნება ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა;
- კანდიდატისგან შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტის/ინფორმაციის წარმოდგენა;
- წინამდებარე განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, სხვა ენაზე მომზადებულ დოკუმენტს უნდა დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული ქართული თარგმანი. ქართულ და უცხოურ ვერსიებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.
- განიხილება მხოლოდ ის წინადადებები, რომლებიც აკმაყოფილებს წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

წინამდებარე წინადადების წარმდგენი კანდიდატი

- *ეთანხმება და შერჩევის შემთხვევაში, მზად არის, უზრუნველყოს შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიას“ 2017 წლის ----- N ბრძანებით დამტკიცებულ ბლექ სი არენაზე განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით ინტერესთა გამოხატვის პირობები.*
-

ხელმოწერა

თარიღი